



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31211803

თარიღი:29/06/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №33

2021 წლის 29 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქუჩა N2-ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.56.072.01.502) პირველ სართულზე მდებარე N4 - 37,28 კვ.მ; N5 - 12,96 კვ.მ; N8 - 13,13 კვ.მ. - სულ 63,37 კვ.მ ფართი) შემდგომში კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მოსაწყობად პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ თამთა ბერიძისთვის (პ/ნ 26001035049) გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

გამოყენებულია კვალიფიციური

